

8. მითითებები წიგნით სარგებლობის შესახებ

მიზნობრივი ჯგუფის (მოზრდილი ასაკის შემსწავლელი გარკვეული წინარე ცოდნით) სპეციფიკიდან გამომდინარე, წიგნი ისეა აგებული, რომ იგი:

- მკითხველისგან ითხოვს არა ლინგვისტურ დისციპლინათა წინასწარ/საგანგებო ცოდნას, არამედ უბრალოდ სრულყოფილ სასკოლო განათლებას.
- დეფინიციათა ჩამოყალიბებისას თავს არიდებს საპოლემიკო მომენტებს და იძლევა რამდენადმე „მოკარნახე“ განმარტებებს, რომელთა მიზანია, მკითხველს მოვლენის არსის წვდომაში დაეხმაროს და არა მის მახასიათებელთა თეორიულ პერფექციაში.
- ზომიერად და სრულიად გამიზნულად იყენებს ტერმინებს (როგორც ტრადიციულს, ისე თანამედროვეს), რომლებიც ნაშრომის შესავალ ნაწილშივეა განმარტებული, ტექსტის სათანადო ადგილზე კი კიდევ ერთხელ პერიფრაზირებული. შემოთავაზებულმა აღწერილობითმა ფორმებმა ტერმინი თვით კონტექსტიდანვე უნდა გახადოს გასაგები და მკითხველი წიგნის ზედმეტად გადაფურცვლისგან დაზოგოს.
- მკითხველს ორ ენაზე (ქართულსა და გერმანულზე) აწვდის სათაურებს ქვესათაურებს, ტექსტში მუქი შრიფტით გამოყოფილ საკვანძო მომენტებსა და ცნებებს (როგორც ლათინურძირიანს, ისე საკუთრივ გერმანულს), მისთვის სამომავლოდ ორიგინალურ/გერმანულენოვან ენათმეცნიერულ ლიტერატურაზე მუშაობისთვის სოლიდური ენობრივ-ტერმინოლოგიური საფუძვლის შექმნისა და სათანადო ჩვევების ჩამოყალიბების მიზნით.
- ზრდასრული ასაკის შემსწავლელთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელი ანალიზური აზროვნების წესის გათვალისწინებით იგი უპირატესობას ანიჭებს ცალკეულ მოვლენათა აღწერას საერთო კანონზომიერების გლობალური ჩამოყალიბების/პრობლემის დასმის ფონზე. იმავდროულად ცალკეული თავებისა თუ ქვეთავების ნაკლებდაქვემდებარებულობით საერთო კონტექსტისადმი იძლევა აქტუალური მასალის შეუფერხებლად წაკითხვის საშუალებას არასაჭირო საკითხთა უმტკივნეულო გამოტოვების ხარჯზე.
- წიგნის დაკაბადონება ორიენტირებულია მკითხველის მხედველობით მეხსიერებაზე (იხ. ასევე საილუსტრაციო მასალისადმი მიძღვნილი პუნქტი), რის გამოც მასალა ისეა განლაგებული ყოველ გვერდზე, რომ არ ხდება ნიმუშთა ბლოკების, აზრობრივად ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი ოპუსების გაგლეჯა მასალის მეორე გვერდზე გადატანის ხარჯზე.
- სარჩევთა აგების ახლებური პრინციპი – კერძოდ, მათი დიფერენციაცია მიმოხილვით, დანვრილებით (ცალკეული თავებისადმი წამძღვარებულ) და გაერთიანებულ (მეოთხე ტომისადმი დართულ) სარჩევებად, რომლებშიც შესატყვისად არის წარმოდგენილი თემებისა და ქვეთემების გარდა ქვესაკითხებიც – ეხმარება მკითხველს, გააცნობიეროს თემის/საკითხის გაშლის შინაგანი დინამიკა და გაერკვეს წიგნის სტრუქტურაში.
- ორენოვანი ტერმინთსაძიებლებისა და გერმანულენოვანი სახელთსაძიებლის შედგენის სრულიად ინდივიდუალური ხერხი – ჯერ ერთი, ანბანურის პარალელურად ასევე თემატური კლასიფიკაციის პრინციპის გათვალისწინება; მეორეც, ყოველი სა-

კითხის საწყისი და ბოლო გვერდების სრულად მითითება (ამათგან აქტუალურის მუქი შრიფტით გამოყოფა); მესამეც, თემის ირგვლივ სხვა საკითხთან, ასევე პარალელურ/სინონიმურ ტერმინთან მიმართებაში მიწოდებულ დამატებით ინფორმაციაზე მინიშნება ისრების (c/b) გამოყენებით – მნიშვნელოვნად აადვილებს მასალის შეუფერხებელ მიგნებას და გარკვეულ დონემდე ლექსიკონის ფუნქციასაც იღებს თავის თავზე.

- ლუწი გვერდების ზედა მინდორზე წარმოდგენილი სათაური მკითხველს საუბრის საერთო თემას შეახსენებს, კენტი გვერდებისაზე კი – მოცემული კონკრეტულ ქვეთემასა თუ ქვესაკითს.
- სათაურის წინ დასმული ნომერი საკითხთა და ქვესაკითხთა იერარქიულ დაქვემდებარებაზე მიუთითებს.
- ტექსტში მუქი შრიფტით გამოყოფილი სიტყვები აზრობრივად მნიშვნელოვან მომენტებს წარმოაჩენს; გადახრა-გამონაკლისებზე, მოსალოდნელი შეცდომის წყაროზე მკითხველს ყურადღებას უმახვილებს სიტყვები: *გამონაკლისია / შენიშვნა / გახსოვდეთ*.
- საილუსტრაციო მასალაში დახრილი შრიფტით გამოყოფილი სიტყვები ყურადღებას ამახვილებს იმ ენობრივ ფენომენზე, რომლის მიმართაც კონკრეტული ნიმუშია მოტანილი, ხოლო ქვეშ ხაზგასმული სიტყვები – იმ დამატებით ენობრივ/სინტაქსურ ერთეულებზე, რომელთაც არაპირდაპირ/ირიბად ეხება განხილული ენობრივი კანონზომიერება. ნიმუშებისადმი დართული პნკარებული თარგმანი არა მხოლოდ ზოგავს მკითხველს ლექსიკონის ხმარებისგან, არამედ ეხმარება იმავდროულად მშობლიური ენის სისტემიდან პარალელური ენობრივი ფორმის მიგნება-დამახსოვრებაში.
- გამოყენებული შემოკლებებისა და სიმბოლოების განმარტებას საგანგებო ნუსხა იძლევა, რომელიც ნაშრომს შესავალი ნაწილის შემდეგ აქვს დართული და ყოველი ტომის დასაწყისში მეორდება.
- უცხოურ სიტყვათა (როგორც საზოგადო, ისე საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა) ჩამონათვალი ყოველი ტომის შესავალში მკითხველს ნიმუშებში ხმარებულ რთულად/თავისებურად წარმოსათქმელ ლექსიკურ ერთეულთა ფონეტიკურ ტრანსკრიფციას აცნობს.
- ბიბლიოგრაფია მკითხველს ცალ-ცალკე წარუდგენს: ერთი მხრივ, გერმანული ენის თანამედროვე გრამატიკებს, ლექსიკონებსა და აქტუალურ საცნობარო ლიტერატურას, რომლებსაც წინამდებარე გამოკვლევა ეყრდნობა; მეორე მხრივ კი – საილუსტრაციო მასალაში გამოყენებულ ნიმუშთა წყაროებს (ასევე დიფერენცირებულთ წყაროს სახეობის მიხედვით).